ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ახალგაზრდებისთვის ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის დაფინანსების/თანადაფინანსების პროგრამის განხორციელების წესი

ეს წესი განსაზღვრავს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის დაფინანსების/თანადაფინანსების წესებსა და პირობებს, რომლებიც ვრცელდება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული/დროებით მცხოვრები ახალგაზრდებისთვის.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული/დროებით მცხოვრები ახალგაზრდებისთვის, ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის განსახორციელებლად, ფინანსური ხელშეწყობის (დაფინანსება/თანადაფინანსება) პროგრამაში მონაწილეობის უფლება აქვთ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს, ასევე ქალაქ ფოთის საჯარო და კერძო სკოლების თვითმმართველობებს სკოლის დირექციის მეშვეობით.
2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის ფინანსური ხელშეწყობის (დაფინანსება/თანადაფინანსება) პროგრამის განსახორციელებლად ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში მერის ბრძანებით შექმნილია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ახალგაზრდებისთვის ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის დაფინანსებისა და თანადაფინანსების მიზნით მუდმივმოქმედი კომისია.
3. კომისია მოიწვევა საჭიროების შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარის მიერ.
4. კომისიის სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.
5. დაინტერესებულმა პირმა განცხადება და მასზე დართული დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს ქართულ ენაზე, ხოლო უცხო ენაზე შესრულებული დოკუმენტაცია თარგმნილი ქართულ ენაზე და დამოწმებული სანოტარო წესით.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი

1. პროგრამის მიზანია:
ა) ქალაქ ფოთში შეიქმნას და განხორციელდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ 14-დან 29 წლამდე ახალგაზრდებზე (ადგილობრივი/დროებით მცხოვრები) ორიენტირებული ინიციატივები. პროექტი ხელს შეუწყობს ახალგაზრდული პროექტების პოპულარიზაციას და ახალგაზრდა თემისა და არასამთავრობო სექტორის წახალისებასა და გაძლიერებას.
ბ) ქალაქ ფოთის საჯარო და კერძო სკოლების თვითმმართველობებმა სკოლის დირექციასთან ერთად უნდა შეიმუშაონ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ 14-დან 18 წლამდე ახალგაზრდებზე (ადგილობრივი/დროებით მცხოვრები) ორიენტირებული ინიციატივები.
2. ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის დაფინანსების/თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში სამიზნე ჯგუფის მინიმალური ოდენობად აუცილებელია განისაზღვროს არანაკლებ 25 ახალგაზრდა.
3. კომისიაზე განსახილველად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ინიციატივები, რომელიც ემსახურება:

- ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას;

- გენდერულ თანასწორობის მიღწევას;
- მრეწველობას და ინოვაციას;
- ხარისხიანი განათლების ხელშეწყობას;
- ფოტო-მედია ხელოვნების პოპულარიზაციას;
- ტურიზმის ხელშეწყობას;
- დედამიწის ეკოსისტემის დაცვას;
- ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფას ახალაგზრდებისთვის;
- მშვიდობიანი საზოგადოების ჩამოყალიბებას (მშვიდობის მშენებლობის ხელშეწყობა);
- სხვა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დაშვებული აქტივობების განხორციელებას.

4. დასაფინანსებელი ინიციატივის პროექტი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციით გათვალისწინებულ მიზნებს და ამოცანებს.

მუხლი 3. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის ფინანსური ხელშეწყობის (დაფინანსება/თანადაფინანსება) კრიტერიუმები

1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის ფინანსური ხელშეწყობის (დაფინანსება/თანადაფინანსება) პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს:
1.1. განცხადება მერის სახელზე;
1.2.საინიციატივო/საპროექტო განაცხადი (ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ, შევსებული სააპლიკაციო ფორმა და ბიუჯეტის ფორმა (დანართების შესაბამისად).
1.3.სხვა დოკუმენტაცია, რომელიც წარმოაჩენს ინიციატივის დაფინანსების საჭიროებას (არსებობის შემთხვევაში).
1.4.განმცხადებელი ორგანიზაციის ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან;
1.5.განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი/საინდიფიკაციო კოდი;
1.6.განმცხადებელი ორგანიზაციის საბანკო რეკვიზიტები.

2. კომისიაზე განსახილველად წარმოდგენილი ინიციატივა უნდა შეესაბამებოდეს საინიციატივო პროექტის შედგენისთვის დადგენილ სტანდარტებს.
3. მერიაში წარმოდგენილი ინიციატივის/პროექტის დაფინანსება/თანადაფინანსება უნდა გახორციელდეს არანაკლებ 1000 (ათასი) და არაუმეტეს 9 000 (ცხრა ათასი) ლარით.
4. 4000 (ოთხი ათასი) ლარზე მეტი ღირებულების ინიციატივების/პროექტების შემთხვევაში მერია განახორციელებს თანადაფინანსებას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ინიციატივის/პროექტის სრული ღირებულების 80 %-ს.
5. ქალაქ ფოთის საჯარო და კერძო სკოლების თვითმმართველობების შემთხვევაში მერიაში წარმოდგენილი ინიციატივის/პროექტის დაფინანსება უნდა გახორციელდეს 1000 (ათასი) ლარით.წლის განმავლობაში სულ განხორციელდება 5 პროექტის დაფინანსება.
6. ინიციატივის/პროექტის დაფინანსების/თანადაფინანსების შემთხვევაში თანხის ჩარიცხვა განხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 4. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

1. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით (სპორტული და ახალგაზრდული ღონისძებების პროგრამა; პროგრამული კოდი: 050102)
2. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა შესაძლებელია განხორციელდეს ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე, განმახორციელებელს გადაერიცხება თანხის ნაწილი, არაუმეტეს 50 %-ისა, ხოლო შუალედური ანგარიშის წარდგენის შემდეგ კი დაფინანსებული/თანდაფინანსებული თანხის დარჩენილი ნაწილი.

3. კომისიაზე განსახილველად წარმოდგენილი ინიციატივის შინაარსის, მიზნებისა და განსახორციელებელი აქტივობების გათვალისწინებით კომისიას შეუძლია იმსჯელოს ინიციატივის/პროექტის განმახორციელებლი ორგანიზაციისათვის თანხის 100%-ის ოდენობით ჩარიცხვაზე.

მუხლი 5. პროგრამის ადმინისტრირება და მონიტორინგი

1. პროგრამის ადმინისტრირებას უზრუნველყოფს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სპორტის სამსახური, რომელიც ამოწმებს წარმოდგენილი განცხადების შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობასა და ამ წესთან.

2. განმცხადებელის მიერ ამ წესით განსაზღვრული დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სპორტის სამსახური ხარვეზის აღმოსაფხვრელად განმცხადებელს განუსაზღვრავს გონივრული ვადას არაუმეტეს 5 სამუშაო დღის ოდენობით. აღნიშნულ ვადაში თუ დაინტერესებული პირი არ წარმოადგენს მოთხოვნილ დოკუმენტაციას, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სპორტის სამსახური უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

3. ამ წესთან და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისი განცხადებები და მასზე დართული სრულყოფილი დოკუმენტაცია განსახილველად წარედგინება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ახალგაზრდებისთვის ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის დაფინანსებისა და თანადაფინანსების მიზნით შექმნილ მუდმივმოქმედ კომისიას.

4. კომისია უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი. კომისია განცხადებებს განიხილავს სხდომაზე და გადაწყვეტილებებს იღებს ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით.

5. კომისიაზე დგება სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერს სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი.

6. კომისიის სხდომას შესაძლებელია ესწრებოდეს განმცხადებელი ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი და მოახდინოს ინიციატივის/პროექტის პრეზენტაცია ან საჭიროების შემთხვევაში წარმოადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია.

7. წარმომადგენლის კომისიაზე დასწრება შესაძლებელია კომუნიკაციის ნებისმიერი ფორმით.

მუხლი 6. ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის დაფინანსება/ თანადაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღება

1. ინიციატივის/პროექტის დაფინანსება/თანადაფინანსება ხორციელდება კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით.

2. არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს და ქალაქ ფოთის საჯარო და კერძო სკოლების თვითმმართველობებს შესაძლებლობა ექნება წელიწადში არაუმეტეს ერთხელ მომართოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის დაფინანსების/თანადაფინანსების მოსაპოვებლად.

მუხლი 7. ანგარიშის წარდგენა

1. განმცხადებელი ვალდებულია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის სახელზე, ოფიციალური წერილით, წარმოადგინოს შუალედური და საბოლოო ანგარიში თანხის გახარჯვის შესახებ და მასთან ერთად აქტივობების ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა და მონაწილეების სარეგისტრაციო ფორმა;

2. დაფინანსება/თანადაფინანსების შემთხვევაში ინიციატივის ავტორი/ უფლებამოსილი პირი ვალდებულია პროექტის დასრულების შემდეგ, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის სახელზე, ოფიციალური წერილით, წარმოადგინოს თანხის მიზნობრივად გახარჯვის ამსახველი დოკუმენტაცია და განხორციელებული ინიციატივის/პროექტის პრეზენტაცია პროექტის შესრულებიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში.

3. დაფინანსებული/თანადაფინანსებული ინიციატივის/პროექტის მონიტორინგს განახორციელებს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის სამსახური.

მუხლი 8. ცვლილებები და დამატებები

1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ახალგაზრდებისთვის ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის დაფინანსების/თანადაფინანსების პროგრამის განხორციელების წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია კომისიის წევრთა ხმათა უმრავლესობით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.